საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იზაბელა

იზაბელა

იზაბელა, ვაზის ამერიკული ჯიში. ბუნებრივი ჰიბრიდია. ძირითადად გავრცელებულია დას. საქართველოს ტენიან რ-ნებში (ე. წ. ადესა"), აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში, ყირიმში და სხვა. კარგად უძლებს ფილოქსერასა და სოკოვან დაავადებებს (მილდიუმი, ოიდიუმი). ნაყოფი შავია, აქვს სპეციფ. გემო, მწიფს მოგვიანებით. იყენებენ საჭმელად და მეღვინეობაში ადგილ. მოხმარებისათვის.